,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 მარტის N27/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

თბილისი 2023 წლის 29 მარტი

თსუ რექტორის 2023 წლის 25 იანვრის N16/01-01 ბრძანების და 2023 წლის 15 მარტის N56/01-01 ბრძანების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 მარტის N27/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

კონკურსი იყო გამოცხადებული ერთ კათედრაზე:

კლინიკური ქირურგიის კათედრა I (ბავშვთა ქირურგიის მიმართულება)

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთი შემოიტანა **ერთმა კონკურსანტმა.**

საბუთების მიღება როგორც კი დასრულდა, კომისიას გადაეცა კონკურსანტის საბუთები დალუქულ მდგომარეობაში.

კომისიამ განიხილა კონკურსანტის მიერ შემოტანილი საბუთები (ოქმი N1) კონკურსანტის საბუთები განხილულ იქნა ცალ-ცალკე. შეფასდა კონკურსის მოთხოვნის პირობების და შესაბამისი ფორმის შევსებით. კონკურსანტის მიერ

წარმოდგენილი საბუთები იყო სრულ შესაბამისობაში, ჩაითვალა დადებითად და კონკურსანტი დაიშვა მე-2 ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კონკურსანტთან გასაუბრება შედგეს 29 მარტს 15:00 საათიდან - 15:30 საათამდე წარმოდგენილი კონკურსანტის გრაფიკის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია გაეგზავნა კონკურსანტს ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო შეტყობინებით. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა ღია კენჭისყრა და კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას.

29 მარტს 15 საათზე ჩატარდა კომისიის სხდომა (ოქმი N2). აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა ყველა წევრი.

<u>15:00 საათიდან -15:30 საათამდე გასაუბრება გაიარა:</u>

მედიცინის დოქტორმა - ირაკლი დავითაიამ. გასაუბრება შეეხო მის სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობას. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატმა დეტალურად მიმოიხილა საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობს მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა:</u>

მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ კანდიდატის სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

იმავე დღეს 16 სთ-ზე გაგრძელდა კომისიის სხდომა (ოქმი N3) კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი. დადებითად შეაფასა კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები კონკურსანტის მიმართ.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 5 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა I (ბავშვთა ქირურგიის მიმართულება) ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ ირაკლი დავითაიას არჩევას;

კენჭისყრის შედეგები დამტკიცდა ღია კენჭისყრით.

ერთხმად დაადგინეს:

მედიცინის დოქტორი ირაკლი დავითაია გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრა I (ბავშვთა ქირურგიის მიმართულება) ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. ბატონი ირაკლი მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა სტუდენტებთან, უწევდა მათ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობდა სამეცნიერო შრომების მომზადებაში, მაქსიმალურად უწყობდა ხელს სტუდენტებს კლინიკური უნარების ათვისებაში. კომისიის აზრით მედიცინის დოქტორი ირაკლი დავითაია იმსახურებს არჩეულ იქნას აღნიშნული კათედრის ასოცირებულ პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)